ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 199

ქალაქი ქუთაისი 28 ივნისი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული ახალი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუროს 2023 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2023 წლის 27 ივნისის დასკვნის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 2023 წლის 28 ივნისს, **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული ახალი კვოტების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ"** მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **რიჟამაძე მამუკა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
2. **შენგელია ირაკლი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **ნადირაძე თეიმურაზ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
4. **მხეიძე დიმიტრი**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
5. **კოსტავა მაგდა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
6. **ჩიხლაძე მანანა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
7. **გიორგაძე მიხეილ,** რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
8. **ჭოხონელიძე მერაბ**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;
9. **შუშანია გრიგოლ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;
10. **ბიბილეიშვილი ნინო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;
11. **მანაგაძე გაგა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;
12. **ფხაკაძე დარეჯან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;
13. **ხურციძე ქეთევან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;
14. **კოხრეიძე ანა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;
15. **არჩაია ელეონორა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.“

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია